ხელშეკრულება N3-755/20

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

25 დეკემბერი

ქ.თბილისი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს მელიორაცია“** (მის: თბილისი, გ. გულუას ქუჩა N6), წარმოდგენილი - მისი ფინანსური დირექტორის დავით ტეტუნაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, **შპს „პრემიუმ ტრეიდინგი“** (იურიდიული მის: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზირი №34/ ქ. თბილისი, ალ ყაზბეგის გამზირი N2 (ნაკვ 13/10)) წარმოდგენილი - მისი დირექტორის თამაზ მეგრელიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი"), "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, მე-10[1] მუხლის, მესამე პუნქტის, ,,ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და გენერალური დირექტორის თანაშემწის 17.12.2020 წლის N შ-25626 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას **ყავის "Julius Meinl" (მარცვალში, კრემა ესპრესო 106501)** გამარტივებულ სახელმწიფო შესყიდვაზე, შემდეგ თანხაზე - **950.00 (ცხაასორმოცდათი ლარი და 00 თეთრი) ლარი**, *დღგ-ს ჩათვლით,* შემდგომში ("ხელშეკრულების ღირებულება"). დაფინანსების წყარო - საკუთარი სახსრები.

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.2. "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ "ხელშეკრულება") შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, მასზე თანდართული დოკუმენტით - დანართი N1.

1.3. "ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.4. "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს **ყავა "Julius Meinl" (მარცვალში, კრემა ესპრესო 106501)** (შემდგომში "საქონელი"), ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

2.2. შესყიდვის ობიექტის კლასიფიკატორის კოდი: 15861000.

2.3. მისაწოდებელი საქონლის დასახელება, განზომილება, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფასების ცხრილის შესაბამისად (დანართი №1).

2.4. შესყიდვის ობიექტი შეფუთული უნდა იყოს ქარხნული წესით ისე, რომ დაცული იყოს გარემო ზემოქმედებისაგან, გარდა იმ პროდუქციისა, რომლის შეფუთვაც შეუძლებელია ქარხნული წესით.

2.5. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს ყავასთან ერთად მიაწოდოს და უსასყიდლოთ, დროებით სარგებლობაში, 2 (ორი) თვის ვადით გადასცეს ყავის აპარატი (შესაბამის ჭურჭელთან ერთად). აპარატის სერიული N – TW901713195361.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ნებისმიერ ეტაპზე.

3.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ: ცენტრალური საწყობის სპეციალისტი მერი ჯმუხაძე ან შესაბამისი სრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი და გენერალური დირექტორის თანაშემწე ნათია ყიფიანი (შემდგომში "ინსპექტირების ჯგუფი").

3.3. ინსპექტირების ჯგუფის ფუნქციებია:

3.3.1 ცენტრალური საწყობის სპეციალისტი მერი ჯმუხაძე - ვალდებულია გაუწიოს კონტროლი მიღებული საქონლის რაოდენობასა და საქონლის თანმდევი დოკუმენტაციის შესაბამისობას ხელშეკრულებასთან, ასევე აღრიცხოს საქონლის მიწოდების და ხელშეკრულების მოქმედების ვადები;

3.3.2 გენერალური დირექტორის თანაშემწე ნათია ყიფიანი - ვალდებულია გაუწიოს კონტროლი მიღებული საქონლის რაოდენობასა და ხარისხობრივ შესაბამისობას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

3.3.3 გააფორმონ მიღება-ჩაბარების აქტი მიმწოდებელთან და უზრუნველყონ მიწოდებული საქონლის მიღება.

4. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

4.1. საქონლის მიწოდების ვადა - ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 3 (სამი) სამუშაო დღე.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, გ. გულუას ქ. N6.

4.3. მიმწოდებელ საკუთარი ხარჯებით მოახდენს მოთხოვნილი პროდუქტის ტრანსპორტირებას, დანადგარისა და ჭურჭლის (აპარატის სერიული N - TW901713195361) 2 (ორი) თვის ვადით, უსასყიდლოთ სარგებლობაში გადაცემას შემყიდველის მე-4 მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრულ მისამართზე.

4.4 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებს, შესყიდვის ობიექტის მიწოდებამდე, არანაკლებ 2 სამუშაო დღით ადრე დაუკავშირდეს შემყიდველის წარმომადგენელს (ლოჯისტიკის სამსახურის უფროსი ლევან პაპაშვილი 599 311 818; 577 17 15 15) და აცნობოს მიწოდების კონკრეტული თარიღი.

4.5 ზემოაღნიშნული პირობის დაუცველობის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიმართ საქონლის მიღების შეფერხებით დამგარ ზიანზე, შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი.

4.6 ზემოთ მოცემული წესის განსაზღვრა განპირობებულია, საქართველოს მასშტაბით არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის, COVID 19 გავრცელების წინააღმდეგ ქვეყანაში მიღებული განსაკუთრებული ზომებისა და გადაადგილების შეზღუდების მიზეზით.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონელი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე.

5.2. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

5.3. მიღება-ჩაბარების აქტი დგება საქონლის (ან მისი ნაწილის) ყოველი მიწოდების დასრულების შემდეგ.

5.4. საქონლის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე.

5.5. საქონლის (ან მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას *გონივრულ ვადაში* საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6. ანგარიშსწორების პირობები და ვადები

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მოცულობის შესაბამისად, მიმწოდებლის საბანკო *ანგარიშზე*.

6.2. ანგარიშსწორება განხორციელდება 10 სამუშაო დღის განმავლობაში, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე.

6.3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების 9.3 და 9.5 პუნქტებით დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისი, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან.

6.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

7. საქონლის საგარანტიო პირობები და ვადები

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი, სწორი ექსპლუატაციის პირობებში არ გამოავლენს დეფექტს და შეესაბამება საქონლის ტექნიკურ პირობებს (დანართი №1).

7.2. მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში განახორციელოს წუნდებული საქონლის ან მისი ნაწილის შეკეთება ან შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

8. ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.1.1. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

8.1.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის გამო;

8.1.3. 8.2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

8.2. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად (მთლიანად ან ნაწილობრივ) შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

8.2.1. მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

8.2.2. მიმწოდებელი სისტემატიურად ან/და უხეშად არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

8.2.3. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებას;

8.2.4. მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

8.2.5. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, *კანონმდებლობით დადგენილი წესით*.

9.2. შემსყიდველი კისრულობს პასუხისმგებლობას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადების დარღვევისათვის, პირგასამტეხლოს სახით მიმწოდებელს გადაუხადოს გადასახდელი თანხის 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.

9.3. მიმიმწოდებელი კისრულობს პასუხისმგებლობას მიწოდების გრაფიკით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს სახით შემსყიდველს გადაუხადოს გრაფიკით მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0.1 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ არანაკლებ 10 ლარისა დღეში;

9.4. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან:

9.4.1. თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით;

9.4.2. ის მხარე, რომელიც ხელშეკრულების 9.4.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) დღისა წარმოადგინოს ცნობა შესაბამისი კომპენტენტური ორგანიზაციიდან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს;

9.4.3. ხელშეკრულების 9.4.2 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

9.5. მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 20%-ის ოდენობით.

9.6. მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან თუ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით ან/და მხარეები ხელშეკრულების შესრულების პროცესში წააწყდებიან ისეთ ხელშემშლელ გარემოებებს, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებელი სხვა ობიექტური მიზეზებით. ასეთი ვითარების არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ფორს-მაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი ხდომილებანი ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი გარემოებები (დაუძლეველი ძალა), როგორიცაა ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და აშ.

10.3. მხარე, რომელიც ხელშეკრულების 10.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ვალდებულებების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზებისა და მისი შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ, ხოლო შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში წარმოადგინოს ფორს-მაჟორული ან/და სხვა

ხელშემშლელი გარემოებების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომელიც დაადასტურებს წერილში მოყვანილ გარემოებებს.

10.4. ფორს-მაჟორული ან/და სხვა ხელშემშლელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.5. ხელშეკრულების 10.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან გადახედონ ხელშეკრულების პირობებს და შეიტანონ მასში შესაბამისი ცვლილება ვალდებულების შესრულების ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით ან/და ვადამდე შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. *მხარეთა შორის წარმოშობილი სადაო საკითხები უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმებით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.*

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

12.2. დაუშვებელია ხელშეკრულებაში იმგვარი ცვლილებების შეტანა, რომლის შედეგადაც იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

12.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

13. ხელშეკრულების სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულების არც-ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

13.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 1 მაისის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"

შპს „საქართველოს მელიორაცია"
მის: ქ. თბილისი, გულუას ქ. N6
ტელ: (995 32) 2 48 01 00.
e-mail: info@ag.ge;
სს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ა/ა GE42TB7484 7360 2010 0003;
საიდენტიფიკაციო კოდი: 204524568.

„მიმწოდებელი"

შპს "პრემიუმ ტრეიდინგი"
მის: ქ. თბილისი, გამსახურდიას გამზ. N34
ტელ: (+995 577) 335-144.
e-mail: Salesmeinl1862@gmail.com;
ს/ს "პროკრედიტ ბანკი"ც/ფ გამსახურდიას განყოფილება;
ბანკის კოდი: MIBGGE22;
ა/ა GE53PC02 4360 0100 016279;
საიდენტიფიკაციო კოდი:
404 864 606

Georgian Amelioration LLC
Digitally signed by Georgian Amelioration LLC
Date: 2020.12.25 09:39:03 +04'00'

„შემსყიდველი"
შპს „საქართველოს მელიორაცია"

_____
დავით ტეტუნაშვილი

„მიმწოდებელი"
შპს "პრემიუმ ტრეიდინგი"

_____
თამაზ მეგრელიშვილი

ფინანსური დირექტორი

დირექტორი

<u>დანართი N1</u>

N	საქონლის დასახელება	აპარატის სერიული ნომერი	განზ.	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)
I	II	III	IV	V	VI	VII
1	**ყავა "Julius Meinl" მარცვალში, კრემა ესპრესო 106501**	ყავის დანადგარი - სერიული N - TW901713195361 და ჭურჭელი	კგ	10	95.00	950.00

„შემსყიდველი“
შპს „საქართველოს მელიორაცია“

_____
დავით ტეტუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს "პრემიუმ ტრეიდინგი“

_____
თამაზ მეგრელიშვილი
დირექტორი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირი, ვიზის დამდები და კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ი ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში წინამდებარე ხელშეკრულებაში მოცემულ მიმწოდებელთან.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის გამო, დასტური მიღებულია ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.